ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1944 Წ. № 214 (7167). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ. 21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲤᲘᲜᲔᲗ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲜᲘ (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ: „ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ“ (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲤᲮᲐᲘᲫᲔ — ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲒᲖᲐ (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

Ნ. ᲛᲐᲠᲙᲝᲕᲡᲙᲘ — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ (ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ: ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ (ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲣᲘᲜᲡᲢᲝᲜ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲘᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲛᲘᲗ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲐᲜᲢᲘᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲛᲪᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲘᲗᲐᲣᲠᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲗᲝᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲜᲝᲛᲠᲘᲗ ᲐᲛᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲯᲔᲑᲘ. ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲛᲔ-2 ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲑᲐᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲔ-2 ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲑᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ქვანახშირის ამოღება შეუჩერებლივ იზრდება

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულქვანახშირის ტრესტი ოქტომბრის მეორე ნახევარში ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმებს. 17 ოქტომბერს ტრესტმა გეგმის შესრულებას ორნახევარი პროცენტით გადააჭარბა. აქ განსაკუთრებით წინ მიდის სტალინის სახელობის შახტი (უფროსი ამხ. ლ. რატიანი, პორტბიუროს მდივანი ამხ. რ. სადუნიშვილი). ამ შახტის კოლექტივმა 15 ოქტომბერს გეგმა შეასრულა 105,2 პროცენტით, ხოლო 16 და 17 ოქტომბერს — 106 პროცენტით. მიღწეულია რიტმული მუშაობა დიდი გადაჭარბებით სრულდება მოსამზადებელი სამუშაოების გეგმები. შახტს მოსამზადებელი სამუშაოების ოქტომბრის 17 დღის გეგმა შესრულებული აქვს 113 პროცენტით. დ. კახნიაშვილისა და შ. შოთაძის უბნები ქვანახშირის ამოღებასთან ერთად სტახანოვური ტემპებით ამზადებენ ორ ახალ მძლავრ ლავს.

უკანასკნელ დროს კარგად დაიწყო მუშაობა მეხუთე საექსპლოატაციო უბანმა (უფროსი გ. გიორგაძე). ეს უბანი გეგმებს ახლა 30-40 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს. ამ უბნის მოწინავე მეშახტიეებმა ა. არსენიძემ, მ. დენისიუკმა და დ. ცხადაძემ უკვე შეასრულეს ოქტომბრის საწარმოო გეგმები.

შახტის მეშვიდე უბანმა, რომელსაც მედალოსანი სამთო ტექნიკოსი ს. გაბრიაძე ხელმძღვანელობს, ოქტომბრის 17 დღის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში მუშაობა გააუმჯობესა ლენინის სახელობის შახტმა, რომელმაც 17 ოქტომბერს გეგმა 108 პროცენტით შეასრულა.

დ. ჟათაშაძე

აბრეშუმის მძსოველები

კრეპდეშინის მქსოველი აბრეშუმის ძაფის მესაიდუმლე უნდა იყოს. უამისოდ იგი ვერ მოგვცემს ნაზსა და ნატიფად ხაქსოვ, ცისარტყელის ფერებით მოელვარე მაღალხარისხოვან ძვირფას ქსოვილს. აბრეშუმის ძაფი ფაქიზი და ჭირვეული. იგი მქსოველისაგან მოითხოვს მაღალ ოსტატობას, განსაკუთრებულ ალღოს, პროფესიულ ინტუიციას.

აბრეშუმსაქსოვი დაზგაც ჭირვეულია. გონებამახვილურად მოყობილი დაზგა ძაფთა ათასნაირი ხლართებით, ლილვებით, ჩახმახისებრად მოქმედი მაქოს საბიძგებლებით, მრავალგვარი სხვა დეტალებით იმ წუთსვე შესწყვეტს მუშაობას, თუ უბრალო დაბრკოლებას იჩინა თავი ამ ძაფთა ათასნაირ ხვეულში. მქსოველი ამ დაზგის მესაიდუმლეც უნდა იყოს. შვილის ტკივილს ყველაზე ადრე დედა მიხვდებაო, ნათქვამია. საქსოვი დაზგის შეფერხების მიზეზს კარგი მქსოველის თვალი პირველი გადავლებისთანავე გამოიცნობს.

ასეთი დახელოვნებული, გამოცდილი, ალღოიანი მქსოველები, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატები ბლომად არიან თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში.

ვეებერთელა საწარმოო დარბაზში საქსოვ დაზგათა წყებებია ჩამწკრივებული. განუწყვეტელ ხმაურსა და დაზგათა გრიალში ტაშის ხმასავით ისმის მაქოების ტაკა-ტუკი. გახურებული მუშაობა დარბაზში, მაგრამ არ სჩანან თვით ადამიანები, მქსოველები. ამოდენა დარბაზში სულ სამ-ოთხი ადამიანია. სად არიან დანარჩენები?

დარბაზში განლაგებულ დაზგებზე იქსოვება აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილები — კრეპდეშინი, ფაიდეშინი და სხვა ასეთი. თითო მქსოველი 4 დაზგას უწევს მომსახურებას და გასაგებია, რომ დიდ დარბაზში, სადაც 16 საქსოვი დაზგა ძლივს იმართება, მხოლოდ 4 კვალიფიციური მქსოველი იქნება.

საქსოვი საამქროს მეექვსე კომპლექტმა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დაწყებისთანავე ფაბრიკაში მოწინავე ადგილი დაიკავა და საწარმოო დავალებათა სამაგალითო შესრულებით, მაღალხარისხოვანი, სრულიად უდეფექტო ქსოვილების სისტემატური გამომუშავებით, ე. წ. ნახვეწის შემცირებით სახელი გაითქვა. ამ კომპლექტში მომუშავეთაგან ფაბრიკის საუკეთესო მქსოველთა სახელი მოიხვეჭეს კატო ურთაშვილმა და ეკ. ტატულოვამ. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მათ პირობა დადეს, რომ მოიპოვებდნენ ფაბრიკის საუკეთესო მქსოველის სახელს, საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით შეასრულებდნენ, დაზოგავდნენ ელექტროენერგიას და გამოუშვებდნენ მაღალხარისხოვან პროდუქციას. კ. ურთაშვილი და ეკ. ტატულოვა ინდივიდუალურად ეჯიბრებიან ერთიმეორეს იკლისიდან. ივლისში კატო ურთაშვილმა საწარმოო დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით 128,2 პროცენტით შეასრულა, აგვისტოში — 145,1 პროცენტით, ხოლო სექტემბერში — 120,9 პროცენტით. ამავე თვეებში ტატულოვამ საწარმოო დავალებები შეასრულა: ივლისში 126,7 პროცენტით, აგვისტოში 138,2 პროცენტით და სექტემბერში 115,9 პროცენტით.

ყველა მქსოველი ისე მაღალნაყოფიერად და კარგად რომ მუშაობდეს, როგორც ურთაშვილი და ტატულოვა, მაშინ საქსოვი საამქროს მოწინავე იქნებოდა და მთელი ფაბრიკაც თბილისის საწარმოთა მოწინავე წყებაში ჩადგებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. საამქროს 9 განყოფილი თვის საწარმოო დავალება ნატურალური პროდუქციის გამოშვების მხრივ მხოლოდ 90,5 პროცენტით შეასრულა. რატომ? — იმიტომ, რომ საამქროში შრომის დისციპლინა სუსტია, მანქანების გაცდენის შემთხვევები ხშირია, არ ჰყოფნით მქსოველები.

საამქროს და მთელი ფაბრიკის ხელმძღვანელთა სუსტი მუშაობის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქ პროდუქციის თვითღირებულების ზრდას აქვს ადგილი. 8 თვის განმავლობაში, ე. ი. 1 სექტემბრისათვის პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა 2,2 პროცენტით. სექტემბერში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ და თვითღირებულების ზრდის მაჩვენებელი 1,5 პროცენტამდე იქნა დაყვანილი. თვითღირებულების ზრდას იწვევს — ხელფასის ფონდის გადაბარჯვა და ხელგაშლილობა სატრანსპორტო ხარჯების გაწევაში.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ახალმოსული მუშების შენარჩუნებისა და აღზრდისათვის ფაბრიკაში სათანადოდ არ ზრუნავენ. 160-მდე აციდან, რომელთაც ფაბრიკაში მუშობა სურდათ და ამისათვის მივიდნენ იქ, ახლა მხოლოდ 17 კაცი მუშობს.

საქსოვი საამქრო ფაბრიკის წამყვანი, მისი ერთ-ერთი ძირითადი უბანია. მქსოველთა კადრებით მისი დაკომპლექტება, კვალიფიციური მქსოველების აღზრდა ფაბრიკის მთელ კოლექტივის გადაუდებელი ამოცანაა.

* * *

აბრეშუმის ქსოვილი მტკიცე, უნაკლო უნდა იყოს. ასეთი ქსოვილების გამოშვებაში აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ორი სახელოვანი ქალი ჰყავს — კატო ურთაშვილი და ე. ტატულოვა. უკეთესთა შორის ისინი საუკეთესონი არიან.

დ. ავშრანიძე

კომკავშირულ თემაზე

ვიცნობდეთ ყოველ ახალგაზრდას, ვზრდიდეთ და ვეხმარებოდეთ მას

ამ ქარხანაში 300-მდე ახალგაზრდა მუშაობს. ბევრი მათგანი ყოფილი კოლმეურნეა. აქ ისინი ფრონტზე წასულთა შემცვლელად მოვიდნენ, დაზგებთან ერთგული შრომით რომ დაეხმარონ სამშობლოსა და წითელ არმიას, ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის პირველი რიგის ამოცანაა ახალგაზრდობის საწარმოო და პოლიტიკური გამოწრთობა. ახალგაზრდობის საწარმოო გამოწრთობისათვის ქარხანას მდიდარი შესაძლებლობა მოეპოვება. ბევრი გამოცდილი მუშა, წარმოების ნოვატორი მეუზაროს აქ. ათასოვნები — მჭედელი ვ. კორძაძე და მეყალიბე ი. მირზოიევი, ხარატები მ. აკოფოვი და ე. ბაღდასაროვი თავიანთი საქმის უაღრესი მცოდნენი და მაღალკვალიფიციური ოსტატები, მუდამ მზად არიან დაეხმაროს ახალგაზრდებს, შეასწავლონ პროფესია. კომკავშირის კომიტეტი, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, კარგად იყენებს ამ შესაძლებლობას.

ფრონტული ბრიგადის ხელმძღვანელი კომკავშირელი ე. ხიზანიშვილი ქარხნის რჩეული ადამიანების რიცხვს ეკუთვნის. კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დაუცხრომელმა ზრუნვამ, ყოველი სამუშაო წუთის ნაყოფიერად გამოყენებამ ე. ხიზანიშვილი მხარში ამოუყენა ქარხნის სახელოვან სტახანოველებს, გეგმის 1000-1200-1600 და მეტი პროცენტი — აი მისი ყოველდღიური სწარმოო მაჩვენებელი. ბრიგადა, რომელსაც ამხ. ხიზანიშვილი ხელმძღვანელობს გეგმას 400-600 პროცენტით ასრულებს. ქალიშვილთა ფრონტული ბრიგადა კომკავშირელ ვ. ფილიპენკოს ხელმძღვანელობით, ავრეთვე დიდი გადაჭარბებით ანაღდებს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

11 ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობს 26 კომისრის სახელობის ქარხანაში. კომკავშირული, ორგანიზაციის ბიუროს სხდომებსა და საერთო კრებებზე ხშირად მსჯელობენ ამ ბრიგადების მუშაობაზე, სახავენ მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს და ებრძვიან მათი განხორციელებისათვის.

ახალგაზრდებს უყვართ კომკავშირის კომიტეტში შევლა. აქ ისინი საქმიან რჩევა-დარიგებას იღებენ, სათანადო მხარდაჭერასა და დახმარებას პოულობენ კომკავშირის კომიტეტის წევრებისაგან, მისი მდივნის ამხ. თ. დემეტრაძისაგან.

ახალგაზრდების დიდი უმრავლესობის დასვენების საათები გონივრულად არის გამოყენებული. კარგად მუშაობენ მომღერალთა, მოცეკვავეთა და ქართული ჭიდაობის წრეები. მომღერალთა წრე ამ დღეებში რაიონის მშრომელთა წინაშე წარსდგება თავისი პროგრამით. მოჭიდავეთა წრემ მეორე ადგილი დაიკავა საქალაქო პირველობისათვის გამართულ შეჯიბრებაში. მოცეკვავეთა წრეში გაერთიანებული ახალგაზრდები სწავლობენ კაკასიურ და ევროპულ ცეკვებს.

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

შალვა ჭელიძე

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობით და მამაცობით თავი გამოიჩინა პოდპოლკოვნიკმა შალვა ვლადიმერის-ძე ჭელიძემ.

შალვა ჭელიძე დაიბადა 1908 წ. ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულში. საშუალო სასწავლებელი ქალაქ ქუთაისში დაამთავრა. 1931 წელს შალვა წითელ არმიაში გაიწვიეს, 1936 წელს ლეიტენანტის წოდებით დაამთავრა სამხედრო სკოლა, რის შემდეგ მუშაობდა საავტომობილო სასწავლო ასეულში ოცეულის მეთაურად.

1938 წელს ამხ. ჭელიძემ მონაწილეობა მიიღო ხალხინ-გოლთან ბრძოლაში და გულადობის გამოჩენისთვის დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

სამამულო ომში ამხ. ჭელიძემ სახელი გაითქვა ქალაქ სტარაია რუსას განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისი ბატალიონი და პირადად იგი არ ზოგავდნენ თავიანთ სიცოცხლეს, თავდადებით იბრძოდნენ და მტერს გამანადგურებელ დარტყმებს აგებინებდნენ.

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის და ამასთან მამაცობის გამოჩენისათვის ამხ. ჭელიძემ მიიღო წითელი დროშის ორდენი.

1943 წლის ზაფხულში ამხ. შ. ჭელიძე მონაწილეობას იღებდა გერმანელთა ორიოლის დაჯგუფების განადგურებაში. მამაც და უნარიან მეთაურს თავისი ბატალიონი მეედგრად მიჰყავდა მტერთან ბრძოლაში ქალაქების შჩორსის, კარაჩევის, ჩერნიგოვის, მოზირისა და კალინკოვიჩის გასათავისუფლებლად.

ამ ბრძოლებისათვის ამხ. ჭელიძე დაჯილდოებულ იქნა ალექსანდრე ნეველის I ხარისხის ორდენით.

დნეპრის გადალახვისას ათასობით ჩვენმა მეომრებმა ასახელეს საბჭოთა იარაღი, მათ შორის იყვნენ პოდპოლკოვნიკ შ. ჭელიძის ქვეგანაყოფის მებრძოლებიც. ამხ. ჭელიძემ ღამით გადაიყვანა თავისი ქვეგანაყოფის დიდი ნაწილი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და შეიჭრა მტრის ზურგში. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელებს გზები გადაუჭრეს და სოფელი იურევიჩი დაიკავეს. ამხ. ჭელიძემ ეს პლაცდარმი სამი დღის განმავლობაში შეინარჩუნა. მესამე დღეს მას შეუერთდა მთავარი ნაწილი.

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გაგაგრებისა და რაიონულ ცენტრ ბრაგინის დაკავებისათვის ამხ. შ. ჭელიძე დაჯილდოებულია კუტუზოვის II ხარისხის ორდენით.

პოდპოლკოვნიკ შ. ჭელიძის მხედრულ ცხოვრებას ბევრი შესანიშნავი საბრძოლო ეპიზოდი ამშვენებს, აი ერთი მათგანი:

ჩრდილოეთის ფრონტზე გერმანელთა დაჯგუფების განადგურებისას ამხ. ჭელიძის ქვეგანაყოფმა დაიკავა სოფელი ლევაშინო, რომელიც მდებარეობს ქალაქ სტარაია რუსადან სამი კილომეტრის მანძილზე. ამხ. ჭელიძემ მიწური შენიშნა და როცა მიუახლოვდა, რაღაც უწესო სიმღერა და ყიჟინა შემოესმა. მეთაური მიწურში ჩავიდა. აქ გერმანელი ოფიცრები სუფრას უსხდნენ და ნაძარცვი ღვინით ქეიფობდნენ. ისინი შეიდნი იყვნენ. მთვრალებმა არ იცოდნენ, რომ მათი ჯარები დაამარცხეს და სოფლიდან განდევნეს. დაინახეს თუ არა საბჭოთა მეთაური, მათ ეგონათ ტყვედ ჩაგვივარდაო. მოინდომეს ამხ. ჭელიძეს შეპყრობა. მაგრამ ქართველი ვაჟკაცი გულადად შეებრძოლა გერმანელ ოფიცრებს. ხელჩართულ ბრძოლაში მან 6 ოფიცერი მოჰკლა, მეშვიდეს კი ბოლო მოუღო შტაბის უფროსმა, რომელიც ამხ. ჭელიძეს ასეთი საბიფათო მომენტში მიეშველა.

მამაც ქართველ მეთაურს ამხ. ჭელიძეს ზემოთ ჩამოთვლილ ჯილდოებს გარდა, სხვა და სხვა დროს მიღებული აქვს სუვოროვის II ხარისხისა და სამამულო ომის I ხარისხის ორდენები.

ალ. ბუღონია

ვარლამ გვილია

...ლიუბლინის სავოევოდოს ქალაქ ზამოსტიეში, ქალაქში, რომლის განთავისუფლებაში ვარლამ გვილია იღებდა მონაწილეობას, შეესანიშნავი ბაღია შუაგულ ადგილას. იქ ზარბაზნების ქუხილში მიაბარეს მიწას გმირი ქართველი არტილერისტი პოლკოვნიკი გვილია.

იქ არის ამართული საქართველოს საამაყო შვილის ძეგლიც. თუმცა ყველაზე უკეთესი ძეგლი მან ხალხის გულში დაიდგა!

ხუტა ბერულავა

იოსებ მთვრალაშვილი

„ძვირფასო დედა! შეგიძლია მომილოცო. სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანმუშოდ შესრულებისათვის დამაჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით. მთავრობის ეს უმაღლესი ჯილდო ენერგიას მმატებს ახალი საგმირო საქმეებისათვის“, — ასე სწერს დედას გვარდიის კაპიტანი იოსებ მთვრალაშვილი.

ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე, სახელოვანი ქართველი ვაჟკაცი სამშობლოს სადარაჯოზე იდგა, ძის წმიდათა წმიდა საზღვრებს იცავდა. სამამულო ომის პირველი დღიდან იგი თავდადებით ებრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და მამაცობის იშვიათ მაგალითებს გვიჩვენებს.

ამ რჩეულთა შორის მოიხსენება სახელოვანი ქართველი არტილერისტი ვარლამ სამსონის-ძე გვილია.

ოცი წელი გაატარა ვარლამ გვილიამ მშობლიურ წითელ არმიაში. რიგითი მებრძოლი სტალინური წრთობის ოფიცერი გახდა.

სამამულო ომში პირველად ორიოლის მისადგომებთან მიიღო მან მონაწილეობა. ვინ იცის, რამდენი მძაფრი ბრძოლა გადაიხადა იქ!

მაგრამ განსაკუთრებით დიდი ვაჟკაცობა მდინარე ბუგის გადალახვისას გამოიჩინა ქართველმა პოლკოვნიკმა. გვილია ყოველთვის იქ იყო, სადაც საშიშროება იჩენდა თავს. მისი არტილერია მართლაც, რომ „ომის ღმერთი“ იყო!...

უკრაინის პირველ ფრონტზე ჰქუხდა პოლკოვნიკ გვილიას საბრძოლო დიდება. უკანასკნელი ბრძოლა მან ვისლის ნაპირას გაუმართა. ...ოფიცერ ...ბ. ...ბ. ...ბ.

გადაცემა მედლისა „კავკასიის დაცვისათვის“

ბახარაძე („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ბახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მოწინავე ადამიანებს 17 ოქტომბერს გადაეცათ მედალი „კავკასიის დაცვისათვის“. მედლების გადაცემისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. სურგულაძემ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ტრაპაიძემ პირველი მედალი გადასცა სამდაზგოსან სტახანოველს სონია ჯიქიას, რომელიც ყოველდღიურ გეგმას 310-350 პროცენტით ასრულებს. შემდეგ ჯილდოს იღებენ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები ორდენოსანი ციალა ღლონტი, თამარ ხუხუნაშვილი, ნიურა კამერე

ბელორუსიის პირველი ფრონტი. მამაცთა სიკვდილით დაღუპულ საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე მატროსოვის ნაცვლად წითელი არმიის რიგებში მოვიდა მისი უფროსი ძმა ვასილი, რომელმაც საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ბრძოლებში მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის ვ. მატროსოვი დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხისა და დიდების III ხარისხის ორდენებით. სურათზე: უფროსი სერჟანტი ვ. მატროსოვი და სერჟანტი ი. ნეპოჩატოვ ტყვიამფრქვევს ესვრიან მტერს.

ფოტო მ. მარკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა)

ჩეხოსლოვაკიის მინა-წყალზე

მოქმედი არმია, 18 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა გადალახეს კარპატის ქედი, დაიკავეს მთელი რიგი უღელტეხილები და წინ წაიწიეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის სიღრმეში.

სამმარი მოქმედების კარპატების ასპარეზის რთულ პირობებში საბჭოთა შენაერთები ამსხვრევდნენ მოწინააღმდეგის ხანგრძლივ თავდაცვას და შეუპოვრად მიიწევდნენ წინ.

საბჭოთა ჯარების გზას უღობავდნენ არა მარტო ბუნებრივი დაბრკოლებანი, არამედ მტრის სიმაგრეებიც, რომლებსაც გერმანელები თავიანთ თვის განმავლობაში აუმჯობესებდნენ. მნიშვნელოვან მაღლობთა მისასვლელებს, უღელტეხილებს, მთების კალთებს არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი იფარავდა. „რუსები ვერასოდეს ვერ გადმოგვიჯავენ კარპატის ქედს,—ეუბნებოდნენ გერმანელი ოფიცრები თავიანთ ჯარისკაცებს,—აქ გერმანიის ზღურბლიაო“. გერმანელი გენერლები არაერთხელ აძლევდნენ თავიანთ ჯარისკაცებს ბრძანებას: „არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხიოთო“.

ჰიტლერელები განსაკუთრებით გულმოდგინედ ამაგრებდნენ უღელტეხილებს. ფრონტიდან მათი აღება შეუძლებელი იყო: ირგვლივ აღმართული მაღლობებიდან გერმანელები მრავალფენა ცეცხლით იცავდნენ მათს მისასვლელებს. ჭვრეტ ქვეგანაყოფები შვეული კლდეებითა და მთის ხეობებით გადიოდნენ მტრის თავდაცვის ფლანგებზე და ზურგიდან სწრაფი დარტყმებით, რასაც ფრონტიდან ჯარიშები ეხმარებოდა, იკავებდნენ უღელტეხილებს.

კარპატის ქედი რომ გადალახეს და მისი მთისპირებით დასავლეთისაკენ დაეშვნენ, საბჭოთა ჯარები მთების განიერ ტაფობზე გავიდნენ.

წინ გადაშლილი იყო ქალაქი კერეშმეზე (იასინა).

ეს ქალაქი მდებარეობს მთებში დაახლოებით ათასი მეტრის სიმაღლეზე. გერმანელებმა ის ნამდვილ მთის ციხედ გადააქციეს. ირგვლივ აღმართული მაღლობები ძლიერ გამაგრებული იყო. კერეშმეზესაკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკი ჩახერგილი იყო ქვაღორღითა და მსხვილი ხის მორებით. მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ მესანგრეები ხერგილებსა და ღობურებში გასასვლელებს აკეთებდნენ, ქვეითები კი ამასობაში მტრის სიმაგრეთა შემოსავლელად გაემართნენ.

მალე ამოქმედდა საბჭოთა არტილერია. ბატარეებმა გრიგალისებური სროლა ასტეხეს. საარტილერიო მომზადების შემდეგ ჯერიშზე გადავიდა ქვეითი ჯარი. ჩვენი ქვეგანაყოფები მოწინააღმდეგის საბრძოლო წყებებში იჭრებოდნენ, ხთიშავდნენ და ქსაქსავდნენ მტრის ძალებს ცალკეულ იზოლირებულ ჯგუფებად და სპობდნენ მათ. ბრძოლა გაფფრთებული, მაგრამ ხანმოკლე აყო. ჩვენი მებრძოლების დარტყმებით მოწინააღმდეგე იძულებული გახდა მიეტოვებინა წინანდელის რაიონი და უკან დაეხია ქალაქისაკენ. მაგრამ მტერმა ქალაქშიც -ვერ მოახერხა ფეხის მოკიდება. ქუჩებში გამართული ბრძოლების დროს გერმანელები განადგურებულ იქნენ. დაეცა მოწინააღმდეგის კიდევ ერთი მძლავრი გამაგრებული რაიონი.

ჩვენს მეომრებს, როგორც მახლობლებს, როგორც თავიანთ ნამდვილ განმათავისუფლებლებს, აუწერელი სიხარულით ეგებებიან სლოვაკები, რუსინები, ჩეხები. ისინი ეხმარებიან საბჭოთა ქვეგანაყოფებს საერთო მტრის განადგურებაში. ერთი ხუტორისათვის ბრძოლებში ჩვენმა მებრძოლებმა დაინახეს, რომ ქოხიდან ჩეხი გელეხ გამოვარდა. მან მოკლულ გერმანელს ხელში შაშხანა გამოაცალა და ძახილით: „ჩვენი განმათავისუფლებლები მოვიდნენ, ჩვენი განმათავისუფლებლები მოვიდნენ!“, წითელარმიელებთან ერთად გაეშურა უკანდახეული გერმანელების სადევნელად. ამ ბრძოლაში ჩეხმა პატრიოტმა ორი ჰიტლერელი მეავტომატე მოსპო.

ნ შენაერთის მებრძოლებმა, რომლებმაც ირაზეთში განდევნეს გერმანელები ჩეხთა ერთერთი სოფლიდან, იქ მცხოვრებლები ვერ აღმოაჩინეს, და მხოლოდ სოფლის დასავლეთ განაპირა უბანში ჩვენმა მეავტომატემ იპოვნა ჩალის ზვინში დამალული მოხუცი გელეხ. მოხუცი ,,ომ მიხვდა, ჩემს წინ წითელარმიელი დგასო, ტყვიკენ გაექანა და აღტაცებით იძახოდა:

— ხალხნო, შეეგებეთ ჩვენს განმათავისუფლებლებს!

მალე ტყიდან დაბრუნდა სოფლის ყველა მცხოვრები. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენს მებრძოლებს თავიანთ ქოხებში იწვევდნენ, უმასპინძლდებოდნენ რითაც ეშეძლოთ, ეკითხებოდნენ საბჭოთა კავშირზე, წითელ არმიაზე.

შეტევის განმავლობაში გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვის ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის სიღრმეში წინ წაიწიეს 20-დან 50 კილომეტრამდე 275 კილომეტრ სიგრძის ფრონტზე. ქალაქ კერეშმეზეს (იასინის) შემდეგ წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქი რახოვი და მთელი რიგი დიდი დასახლებული პუნქტები.

ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობენ და გერმანელებს დიდ ზარალს აყენებენ.

ნ. მარკოვსკი

გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კინომომსახურება

კინემატოგრაფიის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო საბჭომ შეაჯამეს კინომაყურებლის მომსახურების გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები აგვისტოში. სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში კარგი მაჩვენებლები მოგვცა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა კინოფიკაციის სამმართველომ (უფროსი ამხ. ბ. გოგუა), რომელმაც გეგმა 34,4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა და მიიღო მეორე ჯილდო—10.000 მანეთი.

კინოთეატრების მუშაობა საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. თუ 138 მუდმივად მოქმედი კინოდანადგარის მაგივრ პირველი აპრილისათვის მუშაობდა 103, III კვარტალის დამლევისათვის ამ რიცხვმა უკვე მიაღწია 134. მესამე კვარტალში საერთოდ გეგმები კინოფიკაციის სამმართველომ გადაჭარბებით შეასრულა: კინოსეანსებმა — 108,6, დასწრებამ — 104,4 და შემოსავლის — 114,6 პროცენტით. სექტემბერში მუშაობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. სოფლად მაყურებლის მომსახურების გეგმა 39,9 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. რისთვისაც კინოფიკაციის სამმართველოს კვლავ მიეცა ჯილდო.

გაუმჯობესდა კინოფიკაციის სამმართველოს ფინანსური მდგომარეობაც. 1 აპრილისათვის დებიტორული დავალიანება უდრიდა 666.000 მანეთს, ხოლო „კინო-პროკატის“ ვალი — 390.000 მანეთს. ეს მდგომარეობა გამოსწორებულია.

კინოფიკაციის სამმართველოს წარმატება დამოკიდებულია მისი სარაიონო განყოფილებების მუშაობაზე. მთელი რიგი რაიონები წარმატებით მუშაობენ და კარგად ემსახურებიან სოფლის მოსახლეობას (თელავის, ქლეხორის, მახარაძის, გორის, ჩხარის განყოფილებები). გაუმჯობესეს მუშაობა აკერისა და აფხაზეთის კინოფიკაციის სამმართველოებმა. მაგრამ ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ ახალქალაქის, ონის, თიანეთის, სამტრედიისა და ლაგოდეხის სარაიონო განყოფილებები. ბევრ მათგანს აქვს ავტომობილზე მოწყობილი მოძრავი კინო, მაგრამ მას რაციონალურად ვერ იყენებს. ხოლო ზოგიერთმა იგი პირადი შემოსავლის წყაროდ აქცია. მაგალითად, თიანეთის რაიონის განყოფილების (გამგე ქიტესაშვილი) სახალტუროდ გამოგზავნილი ავტომობილი თბილისში დაიკავეს. ეს მანქანა მას ჩამოერთვა და სხვა რაიონს გადაეცა.

ლაგოდეხის სარაიონო განყოფილებამ ახალი ავტომობილი ორ თვეში ისე დაახიანა, რომ კაპიტალური შეკეთება სჭირდება. ამ მანქანათ მხოლოდ 16 სეანსი გამართეს ოფლებში. დანარჩენ დროს მანქანას სხვა საქმეზე იყენებდნენ. ასეთივე მდგომარეობაშია ონისა და სამტრედიის სარაიონო განყოფილებების ავტომანქანებიც.

წელს თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა და ოკვე შეკეთებულია კინოთეატრები თბილისში, ქუთაისში, ხოხში, გორში, მახარაძეში. მაგრამ თბილისის კინოთეატრი „ლუქსემბურგი“ ისევ შეურემონტებელია. სავსებით დაზორეა კინოთეატრი დიდუბეში. ლენინის რაიონში ერთად-ერთი დიდი კინოთეატრი ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას აქვს და ისიც ცუდად მუშაობს.

კინოფიკაციის სამმართველომ დიდი საქმე გააკეთა კინომექანიკოსთა კადრების მოსამზადებლად —თბილისში გახსნა კინომექანიკოსების 4-თვიანი კურსები, რომელზეც სწავლობენ რაიონებიდან მოვლინებული ამხანაგები. ოქტომბრის დამლევს კურსებს დაამთავრებს 28 კინომექანიკოსი და საქართველოს 28 რაიონი მიიღებს კვალიფიციურ მუშაკს.

უკვე მოწესრიგებულია კინოპაპარატურის შეკეთების საქმე. თბილისში მუშაობს სახელოსნო (დირექტორი ამხ. ხოშტარია), რომელიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს და დროულად აწარმოებს კინოპაპარატურის შეკეთებას.

კინოფიკაციის მუშაკებმა უნდა იბრძოლონ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილის მოსაპოვებლად.

ბ. რიონელი

თბილისის რაიონმა შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა ვადამდე 11 დღით ადრე შეასრულეს. 20 ოქტომბრისათვის დათესილია 7.975 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.930 ჰექტარისა. გეგმა შესრულებული 100,5 პროცენტით.

თესვა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ვ. კოგაენიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ამირანაშვილი

დეკეფეზები

მდგომარეობა უნგრეთში

სტოკჰოლმი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ გადმოგვცემს, უნგრეთის ახლანდელ „პრემიერ-მინისტრ“ სალაშის, რომელიც ჰიტლერმა უნგრეთის მარიონეტული „მთავრობის“ სათავეში დააყენა, სრულებით არ შესწევს უნარი განახორციელოს თავისი ძალაუფლება. ხმებია, რომ სალაშის თავს დაესხნენ. გერმანელები ცდილობენ ჩაახშონ უნგრელი ხალხის ზრდადი წინააღმდეგობა და სიკვდილით დასჯას ემუქრებიან ყველას, ვისაც იარაღი აღმოაჩნდება, ან ვინც „პანიკურ ხმებს ავრცელებს“.

მიბაძეს რა უნგრეთის დესპანებს შვეიცარიაში, დანიისა და თურქეთში და საქმეთა რწმუნებულს შვეციაში, უნგრეთის ლისაბონის მისიის წევრებმა დაადასტურეს ჰორტი-სადმი ერთგულების ფიცი.

ჰარიმანი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა

ვაშინგტონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ვაშინგტონში პრეზიდენტ რუზველტისა და სახელმწიფო მდივნისათვის მოხსენების გასაკეთებლად ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჰარიმანი.

ღავარს დაუსწრებელი სასჯელი განაჩენი გამოუტანეს

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). პარიზის რადიო იუწყება, რომ 20 ოქტომბერს მარსელის ტრიბუნალმა დაუსწრებელი სასჯელი განაჩენი გამოუტანა პიერ ლავალს, რომელსაც ბრალდება მტრისათვის ხელის შეწყობა.

ომში ბულგარეთის ჩაბმის დამნაშავეთა მომავალი გასამართლება

სოფია, 21 ოქტომბერი. (საკდესი). სოფიის რადიო იუწყება, რომ უახლოეს დღეებში ბულგარეთის სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ომში ბულგარეთის ჩაბმის დამნაშავე პირნი. მათ შორის არის 25 ყოფილი მინისტრი, აგრეთვე 107 ყოფილი დეპუტატი სახალხო კრებისა (პარლამენტისა), ამათგან 2 ყოფილი მეფი, თავმჯდომარე. თრაკიასა და მაკედონიაში ჩადენილ დანაშაულებათათვის სამართალში აძღვენენ 87 ადმინისტრაციულ მოსამსახურეს და პოლიციელს.

არმიისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარების კამპანია ბულგარეთში

სოფია, 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, ბულგარეთის მოსახლეობა აღფრთოვანებით გამოეხმაურა თავისრნის მოწოდებას — დაეწყოთ სახსრების შეგროვება არმიისადმი დახმარების ფონდისათვის. სახსრების შეგროვების კამპანიის დაწყებიდან სამი დღის განმავლობაში შემოვიდა 1.735 ათასი ლევი.

სახსრების შეგროვებაში დიდ როლს ასრულებს ბულგარელი ახალგაზრდობა. მაგალითად, ქალაქ ბურგასის ახალგაზრდობამ არმიისათვის შეაგროვა 2.500 ამანათი და 470 ათასი ლევი. ქალაქ იამბოლის ახალგაზრდობამ არმიაში 1.600 ამანათი გაგზავნა. ამ ქალაქის ქალებმა და ქალიშვილებმა 500 წყვილი საცვალი შეჰკერეს ბულგარელ ჯარისკაცებისათვის. ქალაქ პომორეს ახალგაზრდობამ არმიაში გაგზავნა 900 ამანათი და 280 ათასი ლევი.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის სახმელეთო ნაწილები გამაგრდნენ ლეიტის კუნძულის (ფილიპინის კუნძულების ცენტრალური ნაწილი) ყველა ხიდწინა სიმაგრეზე და წინ მიიწევენ კუნძულის სიღრმეში. ზარალი შედარებით მცირეა. 600 ხომალდიდან, რომლებიც ამ ოპერაციებში მონაწილეობდნენ, მოწინააღმდეგემ დააზიანა ამერიკის ორი ხომალდი. იაპონელები სუსტ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკის ჯარებს, რომლებიც გადასხდომას განაგრძობენ.

ბრძოლების დროს მოკავშირეთა ავიაციამ ჩასძარა ან დაახიანა იაპონელთა 57 გემი.

უცხოეთის ქრონიკა

ნორვეგიაში დაეპატიმრეს 17 ათასზე მეტი კაცი. დაპატიმრება გრძელდება. მრავალი პირი პატიმრობაში ჰყავთ როგორც მძევლები.

* * *

დუისბურგზე მოკავშირეთა ავიაციის უკანასკნელი თავდასხმების დროს დაზიანებულ იქნა გერმანიის სამი უდიდესი ფოლადსამსხმელო ქარხანა. მეტად დიდი ნგრევა განიცადა ავგრეთვე ქალაქმა კელნმა.

* * *

საფრანგეთში დახვრიტეს ვიშის „მთავრობის“ კოლონიების საქმეთა ყოფილი სახელმწიფო მდივანი ადმირალი რენე პლატონი და ყოფილი „ებრაელთა საქმეების რწმუნებული“ დერკიე დე პელუა.

ინგლისის პრესის გამოძახილი ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკეზე მოსკოვში ჩერჩილისა და იდენის ყოფნის შესახებ

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღევანდელი გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ცნობას მოსკოვის მოლაპარაკების დამთავრების შესახებ. გაზეთებმა მოათავსეს ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკე.

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაზეთი „ტაიმსი“ დღეს სარედაქციო სტატიაში სწერს, რომ მოსკოვში შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირეთა პოლიტიკის შემდგომი კონსოლიდაციისათვის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. გაზეთი სწერს: „ამ შეხვედრის შედეგები პროგრესს წარმოადგენენ. უეჭველია, რომ 10 დღის ინტენსიური დისკუსიების განმავლობაში გაწეულია დიდი მუშაობა“.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია: 20 ოქტომბერს დილით ანტვერპენის ჩრდილოეთით დაწყებული შეტევის შედეგად, მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს 3 მილზე მეტი მანძილით ლუნგაუტის რაიონისაკენ. მოკავშირეთა ნაწილებმა წინ წაიწიეს ანტვერპენ-როსენდალი გზის ორივე მხარეზე. შელდასთან შექმნილი „ტომრის“ რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს სოონდეიკის სამხრეთით; ნაწილები, რომელნიც ინარჩუნებდნენ ხიდწინა სიმაგრეს, შეუერთდნენ მთავარ ძალებს, რომლებიც დასავლეთისაკენ უტევენ.

აახენის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მოკავშირეთა ჯარების ხელშია. მათ დაიკავეს ქალაქის მთავარი ნაწილი და ამჟამად ახშობენ წინააღმდეგობის კერეს გარეუბნებში. მეზიერ-ლე-მეცში ბრძოლები გრძელდება. მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ბრაუიერის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. მოწინააღმდეგის კონტრერიერშები მოგერიებულია. ვოგეზის მთის ძირებში მოწინააღმდეგემ, რომელმაც მაშველი ძალები მიიღო, კონტრიერიში მოიტანა მოკავშირეთა ჯარებზე და ცდილობდა შეეჩერებინა მათი წინსვლა მოზელოტის რაიონის აღმოსავლეთისაკენ.

მოკავშირეთა ავიაცია კვლავ დახმარებას უწევდა სახმელეთო ჯარებს და თავს ესხმოდა მტრის ამხედრო ობიექტებს ჰოლანდიასა და გერმანიაში.

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მე-8 არმიის ნაწილებმა ,,ნიშვნელოვნად წაიწიეს წინ რიმინი-ბოლონიის გზატკეცილის ჩრდილოეთით მდინარე პოს ხეობაში. ქალაქი ჩეზენატიკო (ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე) მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს; მოწინააღმდეგე განდევნილია მთელ რაიონიდან ვარდა ჩეზენის დასავლეთი გარეუბნისა. მოკავშირეთა ჯარები მიადგნენ მდინარე სავიოს დაახლოებით 4 მილზე ჩეზენის ჩრდილოეთით. მე-5 არმიის ფრონტზე გააფთრებული ბრძოლები გრძელდება.

სიფრანგეთ-იტალიის საზღვრის რაიონში მოკავშირეთა ხომალდები კვლავ ხელს უწყობენ სახმელეთო ჯარების მოქმედებას.

საბერძნეთში ინგლისის პატრულები მიადგნენ ქალაქ ლამიას. ოპერაციებში უკვე მონაწილეობენ მოკავშირეთა საჰაერო ძალები, რომელთაც ბაზა საბერძნეთში აქვთ. ჩაყვანილია დამატებითი ჯარები და ჩატანილია საჭურველი.

მოკავშირეთა ავიაციამ რამდენიმე თავდასხმა მოახდინა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებზე უნგრეთში, იტალიასა და იუგოსლავიაში.

ბრიტანეთის ჭრედ-უნიონთა კონგრესზე

ბლეკპული, 19 ოქტომბერი. (საკდესი). 19 ოქტომბერს ტრედ-უნიონთა კონგრესმა მიიღო რეზოლუციები მშვიდობიანობის მოწყობისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ.

რეზოლუცია მშვიდობიანობის მოწყობის შესახებ შეიცავს მიმართვას გაერთიანებული ერების მთავრობებისადმი — შეიტანონ საზავო ხელშეკრულებაში მუხლი სოციალური პრინციპებისა და ამოცანების შესახებ, რომელიც რეკომენდებულია ფილადელფიაში საერთაშორისო შრომის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციით საზავო ხელშეკრულებაა სოციალური პუნქტების შესახებ.

ბლეკპული, 20 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით შუშაობა დაამთავრა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა 76-ე კონგრესმა.

ბლეკპული, 20 ოქტომბერი. (საკდესი). 20 ოქტომბერს დილით ტრედ-უნიონთა კონგრესის სხდომაზე მიღებულ იქნა გენერალური საბჭოს მიერ წარმოდგენილი რიგგარეშე რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში დადასტურებულია პრინციპები, რომლებიც დასახული იყო ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის მოხსენებაში გერმანიისადმი მოპყრობისა და გერმანელი ხალხის პასუხისმგებლობის შესახებ ჩადენილ სამხედრო დანაშაულობათათვის.

რეზოლუციაში აღნიშნულია გაერთიანებულ ერთა შეიარაღებული ძალების მამაცობა და მათ მიერ გაღებული მსხვერპლი. შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია: „კონგრესი ადასტურებს თავის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც გერმანელ ხალხს არ შეიძლება მოეხსნას მთელი პასუხისმგებლობა ამ ომის დროს ჩადენილ დანაშაულობათათვის. გერმანიისათვის და არანაკლებ იაპონიისათვის სამხედრო დამარცხება და კაპიტულაცია სასჯელსა და სასყიდელს უნდა ნიშნავდეს. ყველა რანგისა და წოდების სამხედრო დამნაშავეებმა სრული სასჯელი უნდა მიიღონ თავიანთ დანაშაულობათათვის. იმ ხალხებმა, რომლებთანაც გერმანია ომს ეწეოდა წინასწარგანზრახული და დაუნდობელი სიმტკიცით, ისე, რომ ანგარიშს არ უწევდა არავითარ წესს, უნდა მიიღონ მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ქვეყნებს, რომლებსაც გერმანელები ძარცვავდნენ და ჰყვლეფდნენ დაპყრობათა და გერმანიის ბატონობის მიზნით, სამართლიანად შეუძლიათ მოითხოვონ რეპარაციები, რაც უნდა გადახდილ იქნას საკუთარ ფულით“.

რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული მოვალეობა მთელი გერმანელი ხალხისა— აღადგინოს ის, რაც დანგრეულ იქნა. რეზოლუცია შეიცავს შემდეგს მოთხოვნებს: ინგლისის პროფკავშირული მოძრაობა სრული მონაწილეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის აღდგენის საქმეში; ხელის შეწყობა პროფკავშირული ინტერნაციონალის შექმნისათვის, ინტერნაციონალისა, რომელშიც შევა პატიოსან განზრახვათა მქონე ყველა პროფკავშირული ორგანიზაცია; მომავალ მსოფლიო პროფკავშირულ კონფერენციაზე შესწავლა ომის შემდგომ პრობლემებთან დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური საკითხებისა და სხვ.

დასასრულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მომავალი მსოფლიო პროფკავშირული კონფერენციისათვის მოსამზადებელი მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწვეულ უნდა იქნას პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა სპეციალური კონფერენცია. „ამ კონფერენციაზე კონკრეტული ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს მოთხოვნა, რომ პროფკავშირულ მოძრაობას დაეკისროს მისი წილი პასუხისმგებლობა ზავის პირობების განსაზღვრისა და ომის შემდგომი რეკონსტრუქციის იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც უნდა შეიმუშაონ მთავრობებმა“.

შეიტანა რა ეს რეზოლუცია, მუნიციპალურ დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა დიუქმა განაცხადა, რომ ამ უკანასკნელი 12 თვის მანძილზე ინგლისში დიდად შეიცვალა შეხედულებანი გერმანიისადმი მოპყრობის შესახებ. არ შეიძლება განისაზღვროს მიყენებული მუშტარებისა და ტანჯვის კომპენსაცია. „მაგრამ განა ვისმე შეუძლია სთქვას, — აღნიშნა დიუქმა, — რომ რუსეთმა არ უნდა მიიღოს კომპენსაცია მისი ქვეყნისათვის მიყენებული მატერიალური ზარალისა. რუსეთს უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია ათასობით კვადრატული მილი დუმუშავებელი მიწისათვის, გადამწყვარი მიწის პოლიტიკისათვის, რაც ორგზის განხორციელდა მის ტერიტორიაზე, რომელიც გაპარტახდა და უნაყოფო გახდა. ეს უნდა დადგენილ და აღიარებულ იქნას, და ეს არის ნაწილი ჩვენი საერთო მოვალეობისა ჩვენი დიდი მოკავშირის მიმართ“.

დიუქმა განაცხადა აგრეთვე, რომ ინგლისს უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია დანგრეული ქალაქებისათვის.

მეზღვაურთა ნაციონალური კავშირის გენერალურმა მდივანმა ჯარმენმა განაცხადა: „რაც შეეხება მეზღვაურებს, ისინი მთელ გერმანელ ხალხს სდებენ ბრალს. ჩვენ ვებრძვით არა ადამიანებს, არამედ მანიაკთა ნაციას“. რეზოლუცია მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით უდისკუსიოდ ღია კენჭისყრით.

ფეხბურთის მაჯრი ქალაქ თბილისის ნაკრებ გუნდსა და ირანის ქალაქთა ნაკრებ გუნდს შორის

თეირანი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ შესდგა ფეხბურთისა მატჩი ქალაქ თბილისის ნაკრებ გუნდსა და ირანის ქალაქების ნაკრებ გუნდს შორის. სტადიონი, სადაც თამაში მიმდინარეობდა, გაჭედილი იყო მაყურებლებით.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი აწარმოებს ასპირანტების მიღებას პედაგოგიკის (ზოგადი პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია, პედაგოგიკური ფსიქოლოგია, სკოლამდელი პედაგოგიკა, სპეციალური პედაგოგიკა), რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, გეოგრაფიის, ქიმიის მეთოდიკის დარგებში.

ასპირანტებად მიიღებიან მოქალაქენი 35 წლამდე, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სკოლა და გამოამჟღავნეს პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი.

მსურველნი ადგენენ ინსტიტუტში განცხადებას და დოკუმენტებს: დიპლომს, ავტობიოგრაფიას, დახასიათებას დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან (სადაც მუშაობდნენ უკანასკნელად), შრომას სპეციალობის მიხედვით (დაბეჭდილის ან ხელნაწერის სახით).

ასპირანტურაში შემოსვლის მსურველნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, დისციპლინის მეთოდიკასა და რუსულ და უცხო ენებში. გამოცდები 20-დან 30 ოქტომბრამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის კანცელარიაში, ჯავახიშვილის ქ. № 1, ტელეფონი № 3—50—00.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი დ. უიფშიძე

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მომარაგებისა და გასალების რესპუბლიკური ტრესტი „საქმომარაგება“ აცხადებს უწყება-ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ საქონლისა და მასალების ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით მასალების გაცემა როგორც თავისი საბაზისო საწყობიდან, ისე ხის მექანიკურად დამუშავებელი ქარხნიდან შეწყვეტილი იქნება ა. წ. 21 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

ტრესტი „საქმომარაგება“

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება, რომ 24/X სოფელ ოდიშში (ზუგდიდის რაიონი) შესდგება პოეტ **ალექსანდრე ჯაჯანიას** სამოქალაქო პანაშვიდი.

დედა ელისაბედ, ძმები გიორგი, არმენ, სერგო, გოგი, დები ლუსია, მანია, რძალი მარგო იუწყებიან **ვასო დარჩოს-ძე ხოჯაბეგოვის** გარდაცვლილობას. გამოსვენება 22/X, 4 ს. დიდუბის, 17.

შვილები ამბერკი, დანიელ, ოლღა, ივდითი, სონა, თამარ, ქეთო, რძლები შვილებით იუწყებიან **ეგვიტი მათეს-ასულ მეგრელიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, გამოსვენება 24/X, წერეთლის, 7.

მოქალაქე **იაკობ დიმიტრის-ძე ჩაჩანიძემ,** მცხოვრებმა მაღაროს ქ. № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ, მოქალაქე **ეკატერინე ივანეს-ასულ ჩაჩანიძესთან განქორწინების** შესახებ.

საქმე განხილული იქნება ქ. თბილისის ლენინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტს“ ეხაბეროება **მეცეცხლური და** დამხმარე **მუშა** გათბობის ორთქლის ქვაბებზე სამუშაოდ.

პირობების გაგება შეიძლება კომბინატს შენობაში: ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული, ოთახი № 9.

პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

ვარდიაშვილი, უშვერიძე, ბახტაძე, სანებლიძე, ქარუხნიშვილი, ქავთარაძე, ვადაჭკორია, ღოღობერიძე, ცეცხლაძე, ნაცვლიშვილი, გოცირიძე, სიგუა იუწყებიან **ლეილა ჯანბერიძის** გარდაცვალებას.

ვერა, სოსო, რუსუდან ბარნაბიშვილები, მარიამ, მიხეილ, ნოდარ ძნელაძეები იუწყებიან ივანე შავგულიძის დის **ეუეუნა შავგულიძის** და მამის **იოსებ შავგულიძის** გარდაცვალებას.

სევერიანე, ალექსანდრა შვილებით, ბებია ევგენია, რძალი თამარ ჭიჭინაძეები იუწყებიან პატარა **ერმიკას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/X, 7 ს. გამოსვენება 24/X, 5 ს. ვაშლოვანის, 5.

„ოღბლიანი ნადირობა“
ნახატი მხატვარ **შ. მაყაშვილისა**
ფოტორეპროდუქცია **რ. აკოფოვისა**

საბჭოთა სპორტსმენების შესანიშნავი მიღწევები

საზოგადოება „დინამოს“ სრულიად-საკავშირო პირად-საგუნდო შეჯიბრებაში მძლეოსანი გ. ციბამ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია: ... ბრკოლებათა 150-მეტრიანი ზოლი მან 53,8 წამში დასძლია. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომ